

216<sub>10.</sub>

37

უ-95-ს.


„სახელწიფით“

# პითაგორის სწავლება

(სკოლის გამოცდილებიდან).

ანდრია შუბლაძისა.

ნიგნსაცავი



ქუთაისი.

ივანე კილაძის სცემბა.

1909.

ფასი ორი შაური.

489

11817

063

08.

489

## წინასიტყვაობა.

შველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რა მძიმე მოვალეობა აწევს მასწავლებელს საზოგადოთ და სახალხო მასწავლებელს კერძოთ, რომ მან რამდენიმეთ მაინც პირნათლათ შეასრულოს თავისი მოვალეობა ერისა და საზოგადოების წინაშე. პირველ ყოვლისა, სანამ იგი სამასწავლებლო ასპარეზზე მუშაობას დაიწყებდეს, უნდა აღიჭურვოს საჭირო იარაღით, ე. ი. — შესაფერისი ცოდნით, სპეტაკი ზნეობით და დაუშრეტელი ენერგიით. ჩვენდა სავალალოთ, ამას ვერ ვხედავთ აწინდელ მასწავლებელთა უმეტესობაში; ამის მიზეზი მრავალია და მისი აღნუსხვა ამ ჟამათ ჩვენ მიზანს არ შეადგენს. ამაზე უჩვენოდაც ბევრი თქმულა; ჩვენ აქ გვინდა შევეხოთ მხოლოთ ერთს ფრიად საყურადღებო გარემოებას, რომელიც ამ სტრიქონების დამწერს თვით განუცდია ცხოვრებაში. ხშირათ სკოლაში, სადაც ჩვენ ვმუშაობთ, აბარებენ ისეთს ყმაწვილებს უფროს განყოფილებებშიაც, რომელთაც წერა-კითხვა შინ უსწავლიათ ანდა რომელიმე მახლობელ სამინისტროთუ სამრევლო სკოლებში. ასეთი მსურველი ყოველ-წლოებით ბევრია, ისე ბევრი,

რომ მათი რიცხვი ყოველთვის სქარბობს პირველ გან-  
ყოფილებაში (სადაც წერა-კითხვას ვიწყებთ) შესვლის  
მსურველთა რიცხვს. ბავშვების გამოცდის დროს ყოველ-  
თვის (7 წლის განმავლობაში) შეგვენიშნავს, რომ ყმა-  
წვილს, მაგალითად, აქვს საკმაო განვითარება—მომზა-  
დება, მაგრამ კითხვის პროცესი კი სრულიად არ უვარ-  
გა: სიტყვას ამახინჯებს—უმატებს ან აკლებს ასოს; ჯერ  
ჩუმად გუნებაში კითხულობს და შემდეგ კი იმასვე ხმა-  
მადლა. ასევე ამახინჯებს ბავში სიტყვებს წერის დრო-  
საც. სამწუხარო ის არის, რომ ეს თითქმის საზოგადო  
მოვლენაა, რიგიანი მკითხველი მხოლოდ გამონაკლს თუ  
შეადგენს. აქედან აშკარაა, რომ თვით მასწავლებელთა  
უშეტესობა სუსტობს სწავლების ამ დარგში, ე. ი. იმათ  
საკმარისათ ვერ შეუთვისებიათ „სახმო წესით“ წერა-  
კითხვის სწავლება. გარემოების მიხედვით იძულებული  
ვყოფილვართ კითხვაში სუსტი ბავშვებიც მიგველო სას-  
წავლებელში. შემდეგ რამდენი ქაპან-წყვეტა გადაგვხ-  
დია, რამდენიმე საათები კერძოთ მათთვის შეგვიწირავს  
მთელი წლობის განმავლობაში, რათა როგორმე კით-  
ხვაში გაგვესწორებია, მაგრამ ამგვარ შრომას ყოველ-  
თვის კეთილი ნაყოფი არ მოუტანია: როგორც კით-  
ხვის, ისე წერის დროსაც, ერთხელ ცუდ კითხვას და-  
ჩვეული ბავში სიტყვებს შემდეგშიაც ამახინჯებდა ხოლ-  
მე, რასაკვირველია, შედარებით ცოტა უფრო იშვიათათ,  
ვიდრე წინეთ, რუსული ანდაზისა არ იყოს — „რასაც დას-  
წერ კალმითა, ვერ ამოკრი ცულითა“. ბავშვისთვისაც  
კითხვაში გასწორება ზოგჯერ თითქმის შეუძლებელი  
ხდება, თუ რომ იმას ცუდათ აქვს დაწყებული იგი. ამ  
გარემოებას ნათელ-ჰყოფს ისიც, რომ თვით გიმნაზიის

უფროს კლასების შევირდებნია ც შეგხვდებათ ისეთები, რომლებიც როგორც კითხვის ისე წერის დროსაც სიტყვებს ამახინჯებენ.—ცხოვრებაში ხშირათ შეხვდებით მაღალ სწავლა მიღებულითა შორისაც კი ისეთ პირებს, რომლებიც კითხვაში კოჰლობენ; ამ არა სასურველ მოვლენის მიზეზი კი უფრო ხშირათ, ჩემის აზრით, ის არის, რომ მათთვის წერა-კითხვა თავიდანვე უხეირო წესით უსწავლებიათ.

აწინდელი სახალხო სკოლების ერთს უმთავრესს საგანს, სხვათა შორის, ყმაწვილების წერა-კითხვაში გაწვრთნაც შეადგენს და თუ ეს საგანი უხეიროთაა დაყენებული, რასაკვირველია, სწავლების სხვა დარგიც კიდევ უფრო დაქვეითებული იქნება. ესეც რომ არ იყოს, კარგ კითხვას მაინც დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანისთვის. ყოველი მასწავლებელი, ვისაც ან-ბანი უსწავლებია ბავშვებისთვის, ადვილათ წარმოიდგენს, თუ რა უმაღლეს სულიერს კმაყოფილებას გრძნობენ იგინი ერთი ასოს მეორესთან შეწებება-შეკავშირების დროს, თუ რომ ეს პროცესი ადვილათ მოახერხეს მათ. ბავშვების სიხარულს საზღვარი არა აქვს: ყოველი მათგანი **თავისუფლათ** გრძნობს თავს, **წელ-გამართული** ზის, **თამამათ** იშვერს ხელს და ემუდარება მასწავლებელს: მეც წამაკითხეო. ყმაწვილი გრძნობს, რომ იმან რაღაც დიდი საქმე დასძლია, თითქო ბრმას თვალები ახელოდეს; მეტიც **ხალისით** ეკიდება თავის საცემს, მასწავლებელს თვალს არ აშორებს, დიდის **ყურადღებით** ისმენს მის სიტყვებს, დარწმუნებული, რომ მასწავლებლის წყალობით ასევე ადვილათ შეითვისებს იგი ყველაფერს და დასძლევს საზოგადოთ ყოველ დაბრკოლებას სწავლის

დროს; მასთან თანდათან იზრდება ყმაწვილის გულში მასწავლებლისადმი **სიყვარულისა და პატივისცემის გრძნობა** და ბოლოს მყარდება მათ შორის **ნამდვილი მეგობრული კეთილ-განწყობილება**, რაც დიდათ საკიროა ბავშვის **სწავლაში წარმატებისა და ზნეობრივად აღზრდისათვის**.

დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გარკვევით კითხვას: **თვითგანვითარების** საქმეში. ვინც ამ მხრივ თავის ბავშვობას წარმოიდგენს ან და სხვას დააკვირდება, ადვილათ შეამჩნევს, რომ ყმაწვილი, რომელსაც რიგიანათ შეუთვისებია კითხვის პროცესი, მუდამ წიგნებს ჩაჰკირკიტებს, მუდამ კითხულობს, დიდათ დაინტერესებულია სულ ახალი და ახალი წაიკითხოს და შეიძინოს, კითხვას არ უწყინდება, რადგან უმთავრესი დაბრკოლება (კითხვის პროცესი) საკმაოდ დასძლია. ამრიგად ბავში იზრდება და მასთან ერთად იზრდება და ღვივდება მის არსებაში წიგნების კითხვისა და სწავლის შეძენის სიყვარულის გრძნობა, რაზედაც ძლიერ დამოკიდებულია ადამიანის მომავალი ცხოვრების გაუმჯობესობა.

კითხვას და კითხვის სწავლებას დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა აქვს: **არც ერთს საგანს არ შეუძლია ისეთი აღმზრდელობითი ცოდნა და შთაბეჭდილება გადასცეს, ვერც ერთი საგანი ვერ მოახდენს ისეთს გავლენას მოწაფის მომავალ სულიერ ცხოვრებაში, როგორც საკლასო კითხვა, რომლიდანაც მოწაფე იძენს ცოდნას და შთაბეჭდილებას არა მარტო თავისი საკუთარი ცხოვრებიდან, არამედ თავისი ხალხის, ერის და საზოგადო კაცობრიობის ცხოვრებიდანაც, ზრდის და ავითარებს მასში არა**

## მარტო კერძოს, არამედ საზოგადო მოქალაქობრივი მოვალეობის შეგნებასაც.

კითხვას ვაძლევთ ჩვენ ასეთ სერიოზულ მნიშვნელობას უფრო აწინდელ სკოლების დანიშნულების მიხედვით. ხოლო, რაც შეეხება მომავალ სკოლებს, ბუნებრივსა და თავისუფალ სწავლა აღზრდის პრინციპებზე აგებულს, უნდა აღვიაროთ, რომ შეიძლება იქ ეს საკითხი უფრო დაჩრდილულ იქმნას და მისი ალაგი დაიქიროს სწავლის სხვა უფრო ნაყოფიერმა დარგმა, თუმცა ღრმათ დარწმუნებული ვართ, რომ ამ საკითხს იქაც რიგიანი ადგილი დაეთმობა. ასეა თუ ისე, პეტრეს მოსვლამდე რომ პავლეს ტყავი არ გაძვრეს, ჩვენი მოვალეობაა უკვე არსებულს მეტის სიფხიზლით, მეტის ჩაკვირვებით და მეტის ენერგიით მოვკიდოთ ხელი, ვეცადოთ, რომ თანამედროვე სკოლებში საღი პედაგოგიური პრინციპების გატარებით მოვამზადოთ ნიადაგი მომავალი თავისუფალი სკოლებისათვის.

ამ მცირე წერილის მიზანია „სახმო მეთოდით“ კითხვის სწავლების გათვალისწინება. ამ მიზნის მიხედვით ჩვენც ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს შევეხოთ ამ საკითხის მხოლოდ პრაქტიკულ მხარეს იმდენათ, რასაკვირველია, რამდენათაც ამ საქმეში ვარჯიშობა-გამოდოლებამ დაგვახელოვნა და კეთილ-ნაყოფიერი შედეგებიც არა ერთხელ დაგვანახვა. ამით ჩვენ გვინდა ჩვენი წვლილი საცდელი გაკვეთილებისა და შენიშვნების სახით მივაწოდოთ იმ მასწავლებელთ, რომელნიც ამა თუ იმ მიზეზის გამო სწავლების ამ დარგში ჯეროვანათ ვერ დახელოვნებულან. მასთან ვიმედოვნებთ, რომ ვინც ამ პატარა ნაშრომსაც კი გულდასმით და ჩაკვირვებით

წაიკითხავს და შემდეგ იმასვე პრაქტიკულათ განახორციელებს, შედეგსაც რიგიანს დაინახავს. ამაში ჩვენ ღრმად დარწმუნებული ვართ მით უმეტეს, რომ იმ მცირეოდენ მასწავლებელთ, რომელთაც კითხვის სწავლების საქმეში ჩვენგან ნაკარნახევის წესით უხელმძღვანელობთ, მათისვე სიტყვით და ზოგჯერ ჩვენისავე შემოწმებით, შედეგი რიგიანი დაუნახავთ.



## „სახმო წესით“ კითხვის სწავლება.

კითხვისთვის მისამზადებელი წინასწარი ვარჯიშობა.

- გეგმა:** ა) საგანი და სიტყვა.  
ბ) წინადადება.  
გ) წინადადების სიტყვებად დანაწილება.  
დ) სიტყვის მარცვლებად დანაწილება.  
ე) მარცვლების ხმებად დანაწილება.

როგორც საზოგადოთ შემოღებულია სკოლის ცხოვრებაში, მასწავლებელი უწინარეს ყოვლისა ეცნობა ხოლმე სკოლაში ახლათ მობარებულ ბავშვებს, ებაახება მათ ჯერ კლასში მოთავსებულ საგნებზე და შემდეგ კლასის გარშემო მყოფ მახლობელ საგნებზედაც. დიახ, ასე ატარებენ პირველ დღეებს პაწია ბავშვები სკოლაში. აი ბავშვებისთვის ამ ცნობილ მასალით სარგებლობს მასწავლებელი დ იწყებს მათთან შემდეგ (გამეორება) საუბარს:

**მასწ.** აჩვენებს ბავშვებს საგნებს და ეკითხება — რაა ეს?

**მოწ.** ეს ოთახია.

**მასწ.** ეს?

**მოწ.** ეს კედელია?

**მასწ.** ეს?

**მოწ.** ეს კარია

**მასწ.** ეს?

**მოწ.** ეს ფანჯარაა.

**მასწ.** ეს?

**მოს.** ეს მოსწავლეა..... და სხვა.

ამ ბაასის შემდეგ მასწავლებელი გააცნობს ბავშვებს ცნებებს — „საგანი“ და „სიტყვა“.

### საგანი და სიტყვა.

**მასწ.** აჩვენებს ბავშვებს საგნებს და ეუბნება: (ოთახს) — ეს საგანია. (დაფას) — ეს საგანია. (სკამს). — ეს საგანია.



(მოწათეს)—ეს საგანია. (კატას)—ეს საგანია. (ხარს) ეს საგანია... და სხვ. ბოლოს ეუბნება: **რასაც ჩვენ ვხედავთ, ყველაფერი საგანია.\***)

**მასწ.** რაა საგანი?

**მოწ.** რასაც ჩვენ ვხედავთ, ყველაფერი საგანია.

**მას.** (აჩვენებს ხატს) დამისახელეთ ეს საგანი ერთი სატყუათ.

**მოწ.** ხატი.

**მასწ.** ეს?

**მოწ.** დაფა.

**მასწ.** ეს?

**მოწ.** წიგნი, მაგიდა, რვეული, ბავში, ცარცი და სხვ. ამრიგათ ბავშვები რწმუნდებიან, რომ ამა თუ იმ საგნის სახელი გამოითქმება **სიტყუათ\*\***).

### წ ი ნ ა ლ ა ე ბ ა .

**მასწ.** ბავშვებო, მე ახლა ვფიქრობ ამ საგანზე (მიუთითებს სურათზე, რომელსაც მისჩერებია). იცით რას ვფიქრობ?

**მოწ.** არა, არ ვიცით.

**მასწ.** აბა გეტყვით: სურათი კედელზე ჰკიდია.—გაიგეთ, რა ვფიქრებ?

**მოწ.** ახლა გავიგეთ.

**მასწ.** ახლა ვფიქრობ ვანოზე (უჩვენებს შევირდს, რომელსაც მისჩერებია); იცით, რას ვფიქრობ?

**მოწ.** არა, არ ვიცით.

**მასწ.** აბა, გეტყვით: ვანო კარგი ბავშია.—გაიგეთ?

**მოწ.** კი გავიგეთ.

**მასწ.** მოიფიქრეთ რამე ამ საგანზე (მიუთითებს მაგიდაზე) და მითხარით.

**ერთი მოწ.** მაგიდა სდგას.

\*) ამ შემთხვევაში ეს განმარტება სრულიათ საქმარისია.

\*\*) აქ მასწავლებელმა დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს, რომ ბავშვებმა არ აურიონ ერთმანეთში ცნებანი— „საგანი“ და „სიტყუა“ (საგნის სახელ-წოდება).

**მეორე მოწ.** მაგიდა ხისაა.

**მესამე მოწ.** მაგიდას ოთხი ფეხი აქვს... და სხვა...

**მასწ.** აბა, ახლა ამ საგანზე, მოიფიქრეთ (უჩვენებს ხატს) და მითხარით რამე.

**ერთი მოწ.** ეს ხატი კედელზე ჰკილია.

**მეორე მოწ.** ეს მაცხოვრის ხატია... და სხვა.

**მასწ.** ჩვენ რაზე ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ?

**მოწ.** ჩვენ ვფიქრობთ და ვლაპარაკობთ საგანზე.

**მასწ.** ჩვენ რომ საგანზე რასმე ვიფიქრებთ და შემდეგ ვიტყვით, იმ ნათქვამს ჰქვიან წინადადება<sup>1</sup>).

**მასწ.** რა ჰქვიან?

**მოწ.** წინადადება.

**ყველანი** წინადადება (გაიმეორებენ რამოდენიმეჯერ).

**მასწ.** მოიფიქრეთ რამე ამ საგანზე (მიუთითებს კათედრაზე) და მითხარით წინადადებები.

**ერთი მოწ.** კათედრა სდგას.

**მეორე მოწ.** კათედრა ხისაა.

**მესამე მოწ.** კათედრას პატარა უჯრა აქვს...

**მასწ.** აბა, ბავშვებო, მითხარით სხვა წინადადებები.

**ერთი მოწ.** ნიკო სკამზე ზის.

**მეორე მოწ.** მასწავლებელი ასწავლის.

**მესამე მოწ.** ბავშვები ეზოში თამაშობენ... და სხვა.

როცა მასწავლებელი რწმუნდება, რომ ბავშვებმა სავსებით შეიგნეს წინადადებების შედგენის პროცესი, იგი გადადის წინადადების სიტყვებად დაყოფაზე.

1) რასაკვირველია, ამ განმარტების (როგორც ყოველ-გვარ განმარტების) ზეპირათ დასწავლა პაწია ბავშვებისთვის სავალდებულო (და არც საჭირო) არ არის. სრულიად საკმარისია ამ განმარტების შინაარსის პრაქტიკულათ შეთვისება.

## წინადადების სიტყვებად დაყოფა-დანაწილება.

**მასწ.** ბავშებო, მე ვიტყვი წინადადებას და თან ხელს ხელზე დავკრავ: სანდრო (ხელს დაკრავს) ზის, (კიდევ დაკრავს); რა წინადადება ვთქვი? <sup>1)</sup>.

**მოწ.** სანდრო ზის.

**მასწ.** რამდენჯერ დავკარი ხელი?

**მოწ.** ორ-ჯერ.

**მასწ.** რატომ ორ-ჯერ? <sup>2)</sup>.

**მოწ.** იმიტომ, რომ ამ წინადადებაში ორი სიტყვაა.

**მასწ.** რომელია პირველი სიტყვა?

**მოწ.** სანდრო.

**მასწ.** მეორე?

**მოწ.** ზის.

**მასწ.** აბა, ახლა თქვენ მითხარით ორ-სიტყვიანი წინადადება.

**ერთი მოწ.** მასწავლებელი ასწავლის.

**მეორე მოწ.** ბავში სწერს.

**მესამე მოწ.** წიგნი სძევს... და სხვა.

**მასწ.** წიგნი სძევს რაზე? (მიუთითებს)

**მოწ.** წიგნი სძევს კათედრაზე.

**მასწ.** ახლა რამდენი სიტყვაა ამ წინადადებაში?

**მოწ.** სამი სიტყვაა.

**მასწ.** აბა, რომელი და რომელი?

**მოწ.** ა) წიგნი, ბ) სძევს, გ) კათედრაზე.

**მასწ.** მითხარით სამ-სიტყვიანი წინადადება.

1) მასწავლებელი თითონ განზრახ ირჩევს ჯერ მხოლოდ ორ-სიტყვიან წინადადებას და ამბობს მას, როგორც ყოველთვის, დინჯად და გარკვევით.

2) მოსალოდნელია, რომ ბავშვები სწორ პასუხს მოგვცემენ, ხოლო თუ გაუჭირდათ, მეორეჯერ უნდა გაუმეოროთ იგივე წინადადება იმავე წესით.

**ერთი მოწ.** საკლასო დაფა სდგას.

**მეორე მოწ.** ხატი კედელზე ჰკიდია.

**მესამე მოწ.** ვანო ბეჯითი მოწათფა... და სხვა.

ამ სახით მასწავლებელი ავარჯიშებს ბავშვებს ჯერ ორ-სიტყვიან, მერე სამ-სიტყვიან, ოთხ-სიტყვიან და ბოლოს მრავალ-სიტყვიან წინადადებათა სიტყვებად დანაწილებაში, შემდეგ კი გადადის სიტყვის მარცვლებად დანაწილებაზე.

### სიტყვის მარცვლებად დანაწილება.

**მასწ.** აბა, ვინ მეტყვის წინადადებას?

**მოწ.** ეს დაფა ძველია.

**მასწ.** რამდენი სიტყვისაგან შესდგება ეს წინადადება?

**მოწ.** სამი სიტყვისაგან; ა) ეს, ბ) დაფა, გ) ძველია.

**მასწ.** ეს (ამბობს გრძლათ და გარკვევით და თან დაჰკრავს ხელს ერთჯერ), რა ვთქვი?

**მოწ.** ეს.

**მასწ.** ხელი რამდენჯერ დავკარი?

**მოწ.** ერთჯერ.

**მასწ.** აბა ახლა ვიტყვი მეორე სიტყვას (ამბობს გრძლათ და ხელის დაკვრით): და. . (დაჰკრავს ხელს).. ფა... (კიდევ დაჰკრავს), რა ვსთქვი?

**მოწ.** ჰბაძავს მასწავლებელს და ისიც გრძლათ ამბობს— და....ფა.

**მასწ.** რამდენჯერ დავკარი ხელი?

**მოწ.** ორ-ჯერ.

**მასწ.** რატომ ორჯერ?

აქ კი ბავშვებს სწორი პასუხის მიცემა არ შეუძ-

ლიათ, რადგან ცნება „მარცვალი“ ჯერ არ გაუგონიათ<sup>1)</sup>); ამიტომ მასწავლებელი თითონ ეუბნება: ხელი დავკარი ორჯერ იმიტომ, რომ ამ სიტყვაში (და-ფა) ორი მარცვალაა: ა)—და, ბ)—ფა. გაიმეორეთ ყველამ პირველი მარცვალი.

**მოწ.** და.

**მასწ.** გაიმეორეთ მეორე მარცვალი.

**მოწ.** ფა.

**მასწ.** მითხარით მთელი სიტყვა გრძლად.

**მოწ.** და...ფა.

**მასწ.** რამდენ მარცვლოვანია ეს სიტყვა?

**მოწ.** ორ-მარცვლოვანი.

**მასწ.** რომელია პირველი მარცვალი?

**მოწ.** და.

**მასწ.** მეორე?

**მოწ.** ფა.

**მასწ.** რომელი იყო პირველი სიტყვა?

**მოწ.** ეს.

**მასწ.** რამდენჯერ დავკარი ხელი ამ სიტყვის თქმის დროს?

**მოწ.** ერთჯერ.

**მასწ.** რატომ ერთჯერ?

**მოწ.** იმიტომ, რომ (ეს) ერთ მარცვლოვანი სიტყვაა.

**მასწ.** აბა, ვინ შეტყვის. მესამე სიტყვას გრძლად, ხელის დაკვრით?

**მოწ.** ამბობს: ძვე.... (ხელს დაჰკრავს) ლი.. (კიდევ დაჰკრავს) ...ა (მესამეჯერ დაჰკრავს).

1) ბავშვებს შეუძლიათ გვითხრან მხოლოდ; „და“ სიტყვის ნაწილია, ნახევარია; ხოლო „ფა“ მეორე ნაწილი, მეორე ნახევარი. ამ პასუხითაც მასწავლებელი უნდა დაკმაყოფილდეს და შემდეგი ახსნა ამას დაუკავშიროს.

**მასწ.** კარგი, რამდენჯერ დაკარი ხელი?

**მღწ.** სამჯერ.

**მასწ.** რატომ სამჯერ?

**მღწ.** იმიტომ, რომ „ძვე-ლი-ა“ სამ მარცლოვანი სიტყვაა.

**მასწ.** აბა, მითხარით ერთ-მარცლოვანი სიტყვები.

**მღწ.** ამბობენ: ის, ხე, ქვა... და სხვა...

**მასწ.** მითხარით ორ-მარცლოვანი სიტყვები.

**მღწ.** ამბობენ: და-ფა, ბავ-ში, ხა-რი, კა-რი, სკა-მი... და სხვა.

**მასწ.** მითხარით სამ-მარცლოვანი სიტყვები.

**მღწ.** ამბობენ.

ამრიგათ ბავშვები მიდიან იმ დასკვნამდე, რომ სიტყვები არის ერთ-მარცლოვანი, ორ-მარცლოვანი, სამ-მარცლოვანი და მრავალ-მარცლოვანი.

---

### მარცვლების ხმებად დანაწილება.

ა) ერთ-მარცვლოვანი სიტყვები.

**მასწ.** ბავშვებო, მითხარით ერთ-მარცვლოვანი სიტყვები.

**მღწ.** ის, ხე, ქვა, ეს, ცა, ზის და სხვა...

ამ სიტყვებიდან მასწავლებელი პირველად დაჰყოფს ხმებად უფრო მარტივსა და ადვილად დასაყოფ სიტყვებს. ასეთ სიტყვებათ უნდა ჩაითვალოს „ეს“ და „ის“ იმიტომ, რომ ისინი შედგებიან მხოლოდ ორ-ორი ხმისაგან: ერთი-ხმოვანისა და მეორე თანხმოვანისაგან; მასთან თანხმოვანი ხმაც („ს“) სხვებთან შედარებით უფრო კე-

თილ-ხმოვანია და გამოითქმის ხმოვანი „ი“-ს შემდეგ<sup>1)</sup>.  
 ყველა ეს პირობები სახეში უნდა მიიღოს მა'წავლებელ-  
 მა ამ შემთხვევაში. დანარჩენ თან-ხმოვან ხმებში შედა-  
 რებით უფრო კეთილ-ხმოვანი—შ, ზ, ხ.

მასწ. თანახმად ზემორე მოყვანილ მოსაზრებისა ირჩევს  
 დასაყოფად სიტყვას „ის“, ამბობს გრძლად და  
 გარკვევით (ი...ს); სთქვით ყველამ ასე.

მთწ. ამბობენ გრძლად—ი...ს.

მასწ. რამდენი ხმა ისმის ამ სიტყვაში?

მთწ. ორი ხმა.

მასწ. რომელია პირველი ხმა?

მთწ. ი... (გრძლათ).

მასწ. მეორე!

მთწ. ს... (გრძლად).

მასწ. კიდევ ეუბნება სიტყვას: ე...ს; რა ვსთქვი?

მთწ. სიტყვა ე...ს.

მასწ. რამდენი ხმისაგან შესდგება ეს სიტყვა?

მთწ. ორი ხმისაგან.

მასწ. პირველი ხმა?

მთწ. ე...

მასწ. მეორე?

მთწ. ს.

ამ წესით დაპყოფენ ხმებად სიტყვებს: ეხ, ოხ, ხე,

1) საზოგადოთ უნდა შეენიშნოთ, რომ ადვილი დასაყოფია ხმებათ ის მარცვლები, რომელთაც წინ უძღვის ხმოვანი ხმები, მაგალითად: ის, ას, ეს, ეხ, ოხ, უზ, ოშ, ეფ, და სხვა მარცვლებში, რომელთაც წინ უძღვის თან-ხმოვანი ხმები, უფრო ადვილი დასანაწილებელია ისინი, რომელთაც თითო თანხმოვანი ხმა აქვთ, მაგალითად: სი, სა, ზო, შე, ზუ,—მე, კუ და სხვა. შემდეგ უნდა დანაწილებულ იქნას ხმებად ის მარცვლები, რომელთაც წინ უძღვის ორ-ორი თანხმოვანი ხმა—სკა-მი, ცხენი, ძროხა, რკინა და სხვა; მერე სამ-სამი—ფქვი-ლი, ცეხა-რი, წი-სქვილი, ცხვი-რი და სხვა.

ზის და სხვა... საზოგადოთ მასწავლებელმა ხმებად დასა--  
წაწილებლად უნდა აირჩიოს ისეთი სიტყვები, რომლებ-  
შიაც იქნება მხოლოდ თითო ახალი (ბავშებისთვის უც-  
ნობი) ხმა, რათა ცნობილი ხმების შემწეობით ბავშვმა  
ადვილათ გამოჰყონ იგი სიტყვიდან.

### შ). ორ-მარცვლოვანი სიტყვები.

ამ შემთხვევაშიაც მასწავლებელმა სიტყვების არჩე-  
ვის დროს უნდა იხელმძღვანელოს იმ წეს-რიგით, რო-  
მელიც ზევით მოვიხსენეთ, ე. ი. ჯერ დაჰყოს ხმებად  
უფრო მარტივი და კეთილ-ხმოვანი სიტყვები და შემ-  
დეგ თანდათანობით უფრო რთულიც.

**მასწ.** აჩვენებს ბავშვებს იის სურათს ან თვით იას და  
ჰკითხავს: რაა ეს?

**მან.** ია<sup>1)</sup>.

**მასწ.** რაა ია?

**მან.** ია ყვავილია.<sup>2)</sup>

**მასწ.** მითხარით ეს (ია) სიტყვა გრძლად.

**მან.** ი...ა.

**მასწ.** რამდენ მარცვლოვანია ეს სიტყვა?

**მან.** ორ-მარცვლოვანი.

**მასწ.** პირველი მარცვალი?

**მან.** ი.

**მასწ.** მეორე?

**მან.** ა.

1) ამ სიტყვის ხმებად დაჰყოთა (ი**ა**ფ-ძალიან კეთილ ხმოვანია) შეიძ-  
ლება სულ პირველადაც; მოვაქციეთ აქ მხოლოდ იმიტომ, რომ „ია“ ორ-  
მარცვლოვანი სიტყვაა.

2) ამ შემთხვევაში ეს პასუხი სრულიათ საკმარისია.



**მასწ.** რამდენი ხმა ისმის პირველ მარცვალში?

**პოწ.** ერთი ხმა—ი.

**მასწ.** მეორეში?

**პოწ.** ერთი ხმა—ა.

**მასწ.** რამდენ-ხმოვანია მთელი სიტყვა?

**ძოწ.** ორ-ხმოვანი: ა.) ი, ბ.) ა.

**მასწ.** ამბობს ახალ სიტყვას გრძლად: — ო—სი; გაიმეორეთ.

**პოწ.** ო—სი. 1)

**მასწ.** რამდენ-მარცვლოვანია ეს სიტყვა?

**პოწ.** ორ-მარცვლოვანი.

**მასწ.** რომელია პირველი მარცვალი?

**პოწ.** ო...

**მასწ.** მეორე?

**პოწ.** სი.

**მასწ.** რამდენი ხმა ისმის პირველ მარცვალში?

**პოწ.** ერთი ხმა—ო.

**მასწ.** მეორეში (ამბობს გრძლად და გარკვევით—ს..ი)?

**პოწ.** ორი ხმა: ს, ი.

**მასწ.** რამდენი ხმაა მთელ სიტყვაში?

**პოწ.** სამი ხმა: ო, ს, ი.

ამრიგათ დაანაწილებენ ბავშვები ხმებათ ორ-მარცვლოვან სიტყვებს: სასა, ხახა, სახე, ეზო, შიო, ორი, ზარი, კარი, ტარი, თითი და სხვა, შემდეგ სამ-მარცვლოვან სიტყვებს: ოფოფი, მამალი, კაკალი, დედალი, კაჭკაჭი, გუგული და სხვა მრავალ-მარცვლოვან სიტყვებს.

1) ამ სიტყვასაც, როგორც სხვებს, მასწავლებელი მოკლეთ აუხსნის ბავშვებს.

მარცვლებისა და სიტყვების ხმებად დანაწილება გაცილებით ძნელია ზემორე მოყვანილ სავარჯიშოებზე, ამიტომ მასწავლებელმა აქ კიდევ მეტი სიღინჯე და დაკვირვებითი მოქმედება უნდა გამოიჩინოს.

საზოგადოთ, უნდა აღვიაროთ, რომ ამ წინასწარ სავარჯიშოებზეა დიდათ დამყარებული კითხვის პროცესის ავ-კარგიანობა, ამიტომ მასწავლებელმა აქ არ უნდა იჩქაროს.

როგორც გამოკთილებამ დაგვარწმუნა, ამ საქმისათვის საჭიროა ორი-სამი კვირა.

ამ ვარჯიშობასთან ერთათ ბავშები ხატვა-ხაზვაში და წერაშიც ვარჯიშობენ: სწერენ მხოლოდ ხაზებს და ასოების ნაწილებს.

ამის შემდეგ მასწავლებელი გადადის ასოებზე.

## II.

### ასოები (ან-ბანი).

სანამ მასწავლებელი ანბანის სწავლებას შეუდგებოდეს, იმან უნდა მოამზადოს:

ა). მოძრავი ასოების ასე ოთხ-ოთხი თუ ხუთ-ხუთი ცალი.

ბ). საკლასო ოთახის წინა კედელზე (ბავშვების პარტების პირდაპირ) მასწავლებელმა უნდა მიაქედოს 3-4 ღერი ფიცარი, სიგრძით ასე ოთხ-ოთხი არშინი,

ხოლო სიგანით ორ-ორი გოჯი (ვერშოკი). ეს ფიცრები (თხელი და მსუბუქი) უნდა მიჭედოილ იქმნას კედლის შუა ადგილას ისე, რომ ყოველი ბავში კარგათ ხედავდეს მას; მასთან ფიცრები უნდა დაშორებულ იქმნას ერთმანეთს დაახლოვებით თითო მტკაველზე იმ ანგარიშით, რომ თვით ყველაზე უმცროსი ბავშიც კი ადვილათ სწვდებოდეს უკანასკნელ ზედა ფიცარს. პირველი (ქვედა) ფიცარი უნდა დააშოროთ იატაკს ასე ნახევარ არშინზე, ხოლო დანარჩენები—მის ზევით ისე, როგორც თაროები.

ამ თაროებს აქვს შემდეგი დანიშნულება: პირველ (ქვედა) თაროზე მასწავლებელი ალაგებს თანდათანობით უკვე ნასწავლ ასოებს, რასაკვირველია, იმ რიგზე, როგორც გაიარა ბავშებთან, მაგალითათ: დღეს ბავშებმა შეისწავლეს ასოები: ი, ა; მასწავლებელი ალაგებს ქვედა თაროზე მარცხნით მოძრავ ასოებს—ჯერ „ი“-ს, ხოლო მის გვერდით მარჯვნივ „ა“-ს და ასე სულ უკანასკნელ ასომდე.—დანარჩენ თაროებზე კი მოწაფეები ნასწავლ მოძრავ ასოებისაგან ადგენენ და ალაგებენ სიტყვებს.

ნასწავლი ასოები, როგორც გაკვეთილებისა და დასვენების დროს, ისე სხვა დროსაც მუდამ თაროებზე რჩება, რათა ბავშებმა გაკვეთილების გარეშე თავისუფალ დროსაც ივარჯიშონ ასოებისაგან სიტყვების შედგენაში და თვით ასოებიც არ დაივიწყონ.

როცა მასწავლებელმა მოამზადა ყოველივე ეს, იგი იწყებს ასოების სწავლებას კეთილ ხმოვანების მიხედვით იმ რიგზე, რომელიც აღენიშნეთ, როცა მარცვლების ხმებათ დანაწილებაზე ვბაასობდით.

პირველ დღეს მასწავლებელი ასწავლის ბავშებს ასოებს: **ი, ა**. ამ მიზნით იგი აჩვენებს ბავშებს **იას**, ან მის სურათს, გაპართავს მათთან საუბარს ამ საგანზე კითხვა-პასუხის სახით, ააწერინებს ბავშებს ამ ყვავილს ისე, როგორც ეს მოყვანილი აქვს ბ. გოგებაშვილს თავის „დედა-ენის“ პირველ ნაწილში (ანბანი გვ.—32). და შემდეგ იწყებს მათთან საუბარს:

### ა). ასო—ი.

**მასწ.** (აჩვენებს ია-ს) აბა, ვინ მეტყვის ამ საგნის სახელს ერთი სიტყვით გრძლათ?

**მოწ.** ი....ა (ამბობს გრძლათ).

**მასწ.** რამდენი ხმა გესმით ამ სიტყვაში?

**მოწ.** ორი ხმა: ი, ა.

**მასწ.** მითხარით ყველამ პირველი ხმა გრძლათ.

**მოწ.** ამბობენ ...ი....

როცა ბავშები აგრძელებენ ამ ხმას, მასწავლებელი პირველათ აჩვენებს მათ მოძრავ ასოს „ი“-ს და თან ეუბნება: აი ამ ხმის გამომხატველია ეს **ნიშანი**, ეს არის **ასო „ი“**.

**მასწ.** რა ასოა ეს?

**მოწ.** ეს არის ასო—ი. (ამბობენ გრძლად და გარკვევით).

შემდეგ მასწავლებელი ამ მოძრავ ასოს „ი“-ს ერთ ცალს სდებს ზედა თაროზე, ხოლო დანარჩენებს თავის ალაგას, ე. ი. როგორც ზევით გვექონდა ნათქვამი,— პირველ თაროზე მარცხნით; მერე რამდენიმეჯერ სწერს „ი“-ს საკლასო დაფაზე და ბავშბსაც აწერინებს ჯერ

იმავე დაფაზე და შემდეგ რვეულებშიაც. ამას შერება მასწავლებელი იმ მიზნით, რომ ბავშვებს ასოს დახსოვება გაუადვილდეთ<sup>1)</sup> და მისი წერაც შეისწავლონ.

### ა). ასო—ა.

**მასწ.** (ი.....ა) რომელია ამ სიტყვაში მეორე ხმა?

**მოწ.** ა... (ამბობს გრძლათ).

**მასწ.** თქვით ყველამ ეს ხმა გრძლათ.

**მოწ.** ამბობენ ...ა....

როცა მოწაფეები აგრძელებენ „ა“-ს, მასწავლებელი აჩვენებს მათ ასოს „ა“-ს და თან ეუბნება განაგრძონ იგივე ხმა. აქ უკვე მოწაფეები თითონ მიხვდებიან, რომ მასწავლებელი აჩვენებს მათ ასოს „ა“-ს.

მასწავლებელი რამდენიმეჯერ (გაამეორებინებს) წაკითხვებს ბავშვებს „ა“-ს, შემდეგ ამ მოძრავ ასოს (ა) ერთ ცალს დადებს ზედა თაროზე, ხოლო დანარჩენებს ალაგებს პირველ (ქვედა) თაროზე „ი“-ს მარჯვნივ; მერე რამდენიმეჯერ სწერს „ა“-საც საკლასო დაფაზე და ბავშვებსაც აწერინებს ჯერ იმავე დაფაზე და შემდეგ რვეულებშიაც.

როცა მასწავლებელი რწმუნდება, რომ ბავშვებმა უკვე სავსებით შეითვისეს ასოები—ი, ა—იგი გადადის **კითხვაზე.**

---

1) ამრიგათ ბავში მეტ შთაბეჭდილებას ღებულობს, რაც დიდათ საჭიროა სწავლაში წარმატებისათვის საზოგადოთ და კერძოთ ამ შემთხვევაში.

## კითხვის პროცესი.

სიტყუბი: აა, აი.

მასწავლებელი იღებს თაროდან მოძრავ ასოების—  
ა, ი—თითო ცალს, უჩვენებს ბავშვებს პირველათ „ი“-ს,  
(ასო „ა“ დამალული აქვს) ეუბნება მათ—წაიკითხონ ეს  
ასო გრძლათ. მოწაფეები ამბობენ „ი“-ს გრძლათ. იმ-  
დროს, როცა ბავშვები აგრძელებენ „ი“-ს, მასწავლებე-  
ლი უცებ (ბავშვებისთვის სრულიათ მოულოდნელათ)  
მალავს ამ ასოს და მის მაგიერ აჩვენებს „ა“-ს და ეუბ-  
ნება შეუჩერებლივ გადავიდენ ახალ ასოზე და განაგრ-  
ძონ კითხვა. ბავშვებიც შეუჩერებლივ გადადიან „ა“-ზე  
და აგრძელებენ კითხვას<sup>1)</sup>. ამ წესით მასწავლებელი  
რამდენიმეჯერ გაამეორებინებს ბავშვებს ამ სავარჯი-  
შოს, რის შემდეგ მოწაფეები აშკარათ ხედავენ, რომ  
ასოების—„ი“-სა და „ა“-ს შეერთება-შეკავშირებიდან  
გამოდის სიტყვა-**ია**. მერე მასწავლებელი აჩვენებს ბავ-  
შვებს ორივე ასოს ერთათ და ეუბნება მათ წაიკითხონ  
სიტყვა გრძლათ. ბავშვები კითხულობენ სიტყვას—**ია**.

შემდეგ მასწავლებელი აჩვენებს ბავშვებს ჯერ „ა“-ს  
და ეუბნება—წაიკითხონ ეს ასო გრძლათ. ბავშვები კით-  
ხულობენ. ამ კითხვის დროს მასწავლებელი, როგორც  
ზევით მოიქცა, უცებ „ა“-ს მაგივრათ უჩვენებს „ი“-ს  
და ეუბნება **შეუჩერებლივ** გადავიდენ ახალ ასოზე.

1) ეს ვარჯიშობა რომ უფრო მოხერხებულათ ჩაატაროს მასწავლე-  
ბელმა, საჭიროა, ერთი ასო დაიჭიროს ერთ ხელში, ხოლო მეორე ასო  
—მეორეში. მაშინ კი ერთი ასოს უცებ დამალვა და მის ადგილზე მეორეს  
ჩვენება ადვილი საქმეა.

ბავშებიც ხმის **განუწყვეტლივ** გადადიან „ი“-ზე. და განაგრძობენ კითხვას. ამასაც რამდენიმეჯერ გაიმეორებს მასწავლებელი, რის შემდეგ მოწათყეებს გამოჰყავთ სიტყვა „აი“. ბოლოს მასწავლებელი ალაგებს ასოებს პირველ თაროზე თავ-თავის ადგილას და შემდეგ იწყებს ვარჯიშობას:

**მასწ.** აბა ვინ შეადგენს თაროზე სიტყვას— „ია“.

**მოწ.** აიღებს „ი“-ს და დადებს ზედა თაროზე, ხოლო მის გვერდით (მარჯვნივ) „ა“-ს:

**მასწ.** წაიკითხეთ გრძლათ!

**მოწ.** ი...ა—კითხულობენ გრძლათ<sup>1)</sup>.

**მასწ.** აბა ვინ შეადგენს ასოებიდან სიტყვას „ა..ი“.

**მოწ.** ადგენენ ამ სიტყვასაც ასოებისაგან, რომელსაც ალაგებენ თაროზე; ამ ორ სიტყვას (ია, აი) ბავშები რვეულშიაც სწერენ.

როცა მასწავლებელი რწმუნდება, რომ ბავშებმა **სავსებით** შეითვისეს ზემორე მოხსენებული სავარჯიშოები, იგი გადადის შემდეგ ასოებზე. მასთან უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ორი ხმოვანი ასოს—(ი, ა) შემდეგ მასწავლებელმა უნდა შეასწავლოს ბავშებს უსათუოთ თანხმოვანი ასო, რომ ექმნეთ საშვალეობა გავლილი ასოებისაგან სიტყვების შედგენისა და კითხვაში ვარჯიშობის. თან ამ შემთხვევისთვის უნდა არჩეულ იქმნას (თანხმოვან ასოთა შორის) შედარებით უფრო კეთილხმოვანი ასო. ასეთ ასოთ ჩვენ მიგვაჩნია—**ს**. მაშ უნდა მოენახოთ

1) კითხვის დროს მასწავლებელი მუდამ ყურადღებას უნდა აქცევდეს, რომ ბავშებმა სიტყვა არ გასწყვიტონ, არამედ ერთი ასოდან მეორეზე შეუჩერებლივ გადადიოდნენ. ამ მიზნის მიღწევა შეიძლება მხოლოდ და მარტო „გრძლათ“ კითხვით.

ისეთი სიტყვა, რომელშიაც იქნება უცნობი ასო მხოლოდ—ს და ისიც სიტყვის ბოლოს უნდა იქნეს მოქცეული; ეს უკანასკნელი გარემოება უსათუოთ უნდა იქნას მიღებული მხედველობაში, რადგან მაშინ სიტყვიდან ხმის გამოყოფა ერთი ორათ ადვილია.

ვიღებთ რა მხედველობაში ზემორე აღნიშნულ პირობებს, ვიწყებთ (მაგალითათ) შემდეგ ბაასს:

### ბ). ასო—ს.

**მასწ.** (მასწავლებლის ქული თანჯარაზე სძევს) მიუთითებს:—ის ქული ვისია?

**მოწ.** ის ქული მასწავლებლისაა.

**მასწ.** რა სიტყვით თქვენ?

**მოწ.** წინადადება.

**მასწ.** რამდენი სიტყვისაგან შესდგება ეს წინადადება?

**მოწ.** სამი სიტყვისაგან: ა.) ის, ბ.) ქული, გ.) მასწავლებლისაა.

**მასწ.** მითხარით ყველამ პირველი სიტყვა გრძლათ.

**მოწ.** ი..ს (ამბობენ გრძლათ).

**მასწ.** რამდენ-მარცვლოვანია სიტყვა—ის?

**მოწ.** ერთ-მარცვლოვანი.

**მასწ.** რამდენი ხმა გესმით ამ სიტყვაში?

**მოწ.** ორი ხმა: ი, ს.

**მასწ.** აბა მაჩვენეთ ასო—ი.

**მოწ.** აჩვენებს თაროზე „ი“-ს.

**მასწ.** მითხარით მეორე ხმა გრძლად.

**მოწ.** ს.. (აგრძელებენ).

**მასწ.** როცა ბავშვები აგრძელებენ ამ ხმას (ს), მასწავ-



ლებელი უცებ აჩვენებს მათ მოძრავ ასოს „ს“-ს და ჰკითხავს: რა ასოა ეს?

**მონ.** ს...<sup>1)</sup> (უპასუხებს გრძლად).

შემდეგ მასწავლებელი „ს“-ს გამომხატველ მოძრავ ასოებსაც ალაგებს პირველ თაროზე „ა“-ს გვერდით მარჯვნივ, სწერს დათაზე ამ ასოს და ბავშვებსაც აწერინებს ჯერ იმავე დათაზე და შემდეგ რვეულებშიაც.

**მასწ.** რა ასო ვისწავლეთ დღეს?

**მონ.** ს.

**მასწ.** აბა მაჩვენეთ.

**მონ.** გაღის და უჩვენებს თაროზე „ს“-ს.

**მასწ.** აბა ვინ მეტყვის ისეთ სიტყვებს, რომლებშიაც „ს“ ისმის?

**მონ.** სახე, სარკე, სიკო, სკამი, სტოლი და სხვა.

## კითხვის პროცესი.

სიტყვაში: ის, საა, ასი, სასა.

**მასწ.** აიღებს ერთ ხელში მოძრავ ასოს „ი“-ს, ხოლო მეორეში—„ს“, უჩვენებს ბავშვებს პირველათ „ი“-ს და ეუბნება: გრძლად წაიკითხეთო.

**მონ.** კითხულობენ გრძლად—ი...

**მასწ.** როცა ბავშვები აგრძელებენ „ი“-ს, მასწავლებელი უცებ ჩამოაფარებს<sup>2)</sup> მას მეორე ასო „ს“-ს და

1) თითონ მიხედვიან.

2) ამ წესითაც შეიძლება სარგებლობა.

ეუბნება განაგრძეთო.

**მოწ.** შეუჩერებლივ გადადიან „ს“-ზე და ამ ასოსაც აგრძელებენ.

**მასწ.** რამდენიმეჯერ გაიმეორებს ამ პროცესს, შემდეგ კი ორივე ასოს ერთათ უჩვენებს.

**მოწ.** გამოჰყავთ სიტყვა—ის.

**მასწ.** აჩვენებს ჯერ „ს“-ს და წააკითხებს ბავშვებს გრძლად.

**მოწ.** კითხულობენ—ს...

**მასწ.** უცებ ჩამოათარებს ასოს „ი“.

**მოწ.** შეუჩერებლივ გადადიან „ი“-ზე და კითხულობენ გრძლად.

**მასწ.** ამ სავარჯიშოსაც რამდენიმეჯერ გაიმეორებს. რა წაიკითხეთ?

**მოწ.** სი.

**მასწ.** დაწყობს თაროზე ამ ორ ასოს (სი) ერთათ და ეუბნება—წაიკითხეთო.

**მოწ.** სი.

**მასწ.** შემდეგ ამ მარცვალს (სი) მარჯვნივ მიუმატებს ცოტა მოშორებით „ა“-ს.

**მოწ.** კითხულობენ: სი—ა.

**მასწ.** რა სიტყვა გამოვიდა?

**მოწ.** სია<sup>1)</sup>.

**მასწ.** ალაგებს ამ ასოებს (ს, ი, ა) თავთავის ალაგას და ჰკითხავს ბავშვებს: რა ახალი სიტყვა ვისწავლეთ?

**მოწ.** სია.

**მასწ.** რამდენ მარცვლოვანია ეს სიტყვა?

**მოწ.** ორ მარცვლოვანი: ა.) სი, ბ.) ა.

1) მასწავლებელი უხსნის ამ სიტყვას.

**მასწ.** რამდენი ხმა გესმით პირველ მარცვალში (სი)?

**მოწ.** ორი ხმა: ს, ი.

**მასწ.** აბა ვინ დააღაგებს პირველ მარცვალს თაროზე?

**მოწ.** აიღებს მოძრავ ასოებიდან „ს“-ს და დადებს პირველ თაროზე, ხოლო მის გვერდით მარჯვნივ „ი“-ს.

**მასწ.** წაიკითხეთ ეს მარცვალი გრძლად.

**მოწ.** სი....

**მასწ.** რამდენი ხმა ისმის მეორე მარცვალში?

**მოწ.** ერთი ხმა—ა.

**მასწ.** ვინ დადებს „ა“-ს „სი“-ს გვერდით?

**მოწ.** „სი“-ს გვერდით დადებს „ა“-ს ცოტა მოშორებით. <sup>1)</sup>

**მასწ.** წაიკითხეთ გრძლათ მთელი სიტყვა.

**მოწ.** სი-ა—კითხულობენ გრძლათ განუწყვეტლივ.

ამ წესითვე შეადგენენ ბავშები თაროზე მოძრავი ასოების საშუალებით სიტყვებს: ა-სი, სა-სა.

შემდეგ მასწავლებელი შეადგენინებს ბავშებს მთელ სიტყვებს მოძრავ ასოებისაგან სრულიად **დამოუკიდებლად, მიუხმარებლად:**

**მასწ.** აბა, ვინ შეადგენს სიტყვას: ის?

**მოწ.** ალაგებს თაროზე—ის.

**მასწ.** სიტყვა: სია?

**მოწ.** ალაგებს თაროზე: სი-ა.

**მასწ.** სიტყვას: ასი?

1) საზოგადოთ პირველ ხანებში, ე. ი. სანამ ბავშები კითხვაში თვალს გაიტყუნდნენ, ალაგებენ თაროზე სიტყვის შემადგენელ მარცვლებს ერთმანეთზე **ცოტა მოშორებით** რაც დიდათ უადვილებს მათ სიტყვის წაკითხვას; სიტყვას კი კითხულობენ **განუწყვეტლად, გრძლად**, ხმა-გაბმით.

**მაწ.** ალაგებს—ა-სი.

**მასწ.** ვინ დაალაგებს: სასა?

**მაწ.** ალაგებს თაროზე: სა-სა... და სხვა....

ასეთივე წესით გაივლის მასწავლებელი შემდეგ ასოებს და თითოეულ მათგანზე თან მოყოლებულ წერა-კითხვაში სავარჯიშო სიტყვებს:

### დ.) ასო—ხ.

**სიტყვები:** ახ, ა-ხი, ა-ხი-ა, ხა-ხა, ხის, ხი-სა....

### ე.) ასო—ო.

**სიტყვები:** ო-სი, ხო, სი-ო, სი-სო, სო-სო...

**სიტყვები:** ეს, ე-სა, ა-სე, ხე, ხე-ხე, სა-ხე, ი-სე, სე-სე...

### ზ.) ასო—უ.

**სიტყვები:** სუ, უ-სა-ხო, სუ-სხი....

### თ.) ასო—შ.

**სიტყვები:** ში-ო, შუ-ა, შე-შა, ში-ში, ხა-ში, შუ-შა, შო-ში-ა....

### ი.) ასო—ჭ.

**სიტყვები:** ხა-ხი, ზა-ზა, ზის, ა-ზი-ზი, უზის, შუ-ა-ზე....

ზემორე ჩამოთვლილ სიტყვებს, როგორც ვთქვი,

მასწავლებელი შეადგენინებს ასოებიდან და აკითხებს მოწაფეებს მხოლოდ და მარტო მოძრავი ასოების საშუალებით. <sup>1)</sup>

ამრიგათ მასწავლებელმა უკვე გაიარა ბავშვებთან ყველა ხმოვანი ასოები: ი, ა, ო, ე და უ; ხოლო თანხმოვან ასოებიდან მხოლოდ—ს, ხ, შ და ზ.

ავარჯიშა ბავშვები ამ ასოებისაგან (მოძრავი ასოების საშუალებით) სიტყვების შედგენაში და მათს თაროებზე დალაგება-კითხვაში; აწერინა ცოტაოდენი რვეულებშიაც. და თუ მასწავლებელმა ყოველივე ეს, თანახმათ ჩვენი რჩევისა და შენიშვნებისა, მოხერხებულად ჩაატარა, სრული დარწმუნებული ვართ, რომ მოწაფეებმა უკვე სავსებით შეიგნეს კითხვის პროცესი, ე. ი. ისინი თავისუფლათ უკავშირებენ ერთი მეორეს ასოებს და გამოჰყავთ მარცვლები, ხოლო მარცვლების შეკავშირებისაგან—სიტყვები.

მართალია, ამ დროს ბავშვები კითხულობენ ძლიერ ნელა და გრძლად, მაგრამ ამან სრულიადაც არ უნდა შეგვაშინოს: პირიქით, სწორეთ ამ გრძლად „კითხვაშია ნამდვილი ხსნა—გრძლად კითხვა აძლევს ბავშვებს საშუალებას—სისწორით წაიკითხონ სიტყვები, ე. ი. არც მიუმატონ და არც მოაკლონ ასოები, **რაც უნდა ჩაითვალოს კითხვის უმთავრეს ღირსებათ.**

მოძრავი ასოებისაგან სიტყვების შედგენა და მათი თაროებზე რიგზე დალაგება აჩვენებს ბავშვებს მართლწერას: ამ დროს ბავშვი თავის გონებაში ანაწილებს სიტყვას მარცვლებათ, ხოლო მარცვლებს ხმებათ და სწერს

1) როგორც ასოებს, ისე მოკლე სიტყვებსაც რვეულებშიაც აწერინებს.

მხოლოდ იმას, რაც ესმის, ე. ი. არც უმატებს და არც აკლებს ასოს. **ესეც ხომ უმთავრესი ღირსებაა წერისა.**

### კითხვა წიგნში.

ზევით მოყვანილ ვარჯიშობის შემდეგ მასწავლებელი გადადის ბ. გოგებაშვილის „დედა-ენა“-ზე (ანბანი, ნაწ. პირველი) და განაგრძობს შემდეგი ასოების გავლას ნაჩვენები წესით.

„დედა-ენა“-ში ყველა ასოს წინ უძღვის სურათი. უპირველეს ყოვლისა ბავშვები ასწერენ სურათს (რასაკვირველია, მასწავლებლის ხელმძღვანელობით) ისე, როგორც თვით ავტორს აქვს მოთავსებული ანბანის ბოლო ფურცლებზე (ია, ბუდე, თითი, ქათამი, ოფოფი და სხვა გვ. 32—39) შემდეგ სურათის სახელ-წოდებას (სიტყვას) დაჰყოფენ მარცვლებათ, მარცვლებს ხმებათ, გამოჰყოფენ სიტყვიდან ახალ ხმას, ეცნობიან ამ ხმის გამომხატველ ასოს <sup>1)</sup> და კითხულობენ მაზე მოყოლებულ სიტყვებსა და წინადადებებს გრძლათ და ძალიან გარკვევით პირველათ უსათუოთ თაროებზე მოძრავი ასოების საშუალებით, <sup>2)</sup> მერმე კი იმასვე წიგნში. ასე უნდა ისარგებლოს მასწავლებელმა „დედა-ენით“ პირველი სურათის და პირველივე ასოდან უკანასკნელამდე.

„დედა-ენაში“ რამოდენიმე ასოს (10—15) გავლის შემდეგ მასწავლებელი თანდათანობით ამჩნევს <sup>3)</sup>, რომ

1) მასწავლებელი აჩვენებს მოძრავ ასოს.

2) მხოლოდ ცალკე სიტყვებს.

3) ბავშვები ამ დროს მეტათ დაინტერესებული არიან კითხვით და მასწავლებლის დაუხმარებლადაც კი ითვისებენ შემდეგ ასოებს.

მოწადეები თითონ სწავლობენ წიგნში შემდეგ უცნობ ასოებს. ეს გარემოება დიდათ შეუწყობს ხელს მასწავლებელს — შედარებით დააჩქაროს<sup>4)</sup> ასოების გავლა, ე. ი. თანდათანობით შეიძლებს სიტყვების მარცვლებათ და ხმებათ დანაწილებისა და უცნობი ხმის გამოყოფის პროცესის შემოკლებას, მაგალითათ: სრულიათ საკმარისია ამ ხანებში უჩვენოს სურათი, ვთქვათ, **კაჭკაჭის**, ააწერინოს ეს ფრინველი და შემდეგ ჰკითხოს: ამ სიტყვაში (კაჭკაჭი) რომელი ახალი ასო უნდა ვისწავლოთ? ბავშვები მაშინვე სწორ პასუხს მისცემენ — ჰ და სხვა. შეიძლება აგრეთვე შემოკლებულ იქმნას მოძრავი ასოებისაგან თაროებზე სიტყვების შედგენა და კითხვის პროცესიც, ე. ი. თაროებზე დაალაგონ და იკითხონ ბავშვებმა მხოლოდ უფრო რთული სიტყვები, უმთავრესი დრო კი მოახმარონ თვით წიგნში კითხვას.

ის ცხრა ასო, რომელიც გაიარა მასწავლებელმა ბავშვებთან წიგნის ხელში აღებამდე, რასაკვირველია, განმეორებულ უნდა იქმნას წიგნშიც თავთავის ადგილას მით უმეტეს, რომ „დედა-ენა“-ში იმ ასოებზე, როგორც საზოგადოთ ყველგან, თან მოყოლებული კითხვის სავარჯიშო მასალა გაცილებით უფრო მეტია, ვიდრე ჩვენ გვჯონდა ანუსხული და ისიც კი იმავე „დედა-ენი“-დან იყო ამოღებული.

4) საზოგადოთ კი ამ საქმეში სიჩქარე არ შეიძლება.

## საზოგადო უენიშვნები.

ბავშები უნდა კითხულობდენ სიტყვებს **გრძლად**, ხმა-გაბმით და რაც შეიძლება **გარკვევით** ისე, რომ თითოეული ასო კარგათ ისმოდეს. სრულიათ ნორმალური კითხვა თანდათანობით თავისთავათ გამომუშავდება; ეს მასწავლებლისაგან მაინცა და მაინც დიდ შრომას არ მოითხოვს.

მთელი სიტყვა უნდა წაკითხულ იქნას მხოლოდ **ერთჯერ განუწყვეტლად**.

სიტყვის ნაწილის წაკითხვა, შეჩერება და ისევ თავიდან წაკითხვა არ შეიძლება.

სწორ-მარცვლოვანი სიტყვების (მა-მა-ლი, დე-და-ლი, წი-წი-ლა, გუ-გუ-ლი, კა-კა-ლი და სხვ.) წაკითხვა ადვილია, ამიტომ არც ითხოვს მასწავლებლისაგან განსაკუთრებულ ყურადღებას.

სამაგიეროთ ძალიან ძნელია (არა სწორ-მარცვლოვანი) რთულ-მარცვლოვანი სიტყვების (ფქვი-ლი, წი-სქვი-ლი, სი-ტყვა, მარცვლე-ბი და სხვა) წაკითხვა. ამგვარი სიტყვების კითხვის დროს კი მასწავლებელს მართლაც განსაკუთრებული ყურადღება მოეთხოვება. ავიღოთ, მაგალითათ, სიტყვა „ფქვი-ლი“. ამ სიტყვის პირველი მარცვალი საკმაოთ რთულია: იგი შესდგება სამი თანხმოვანისა და ერთი ხმოვანი ასოსაგან „ფ,ქ,ვი“ და ამის გამო ძნელი წასაკითხავია; ამიტომ ბავში უნებურათ ჩაჟმატებს ხოლმე ხმოვან ასოს, მაგალითათ—




„უ“-ს; ასე, რომ „ფქვი-ლი“-ს მაგიერ წაიკითხავს „ფუქუ-ვი-ლი“—და სხვა. ასევე მოიქცევა წერის დროსაც. ეს რომ არ მოხდეს, მასწავლებელმა განსაკუთრებით უნდა აირჩიოს ასეთი სიტყვები და მოძრავი ასოების საშვალეებით თაროზე დააღაგებინოს და აკითხოს ბავშვებს, თანაც გააფრთხილოს, რომ ასეთი მარცვლების კითხვას მეტის დაკვირვებით მოეპყრან, ე. ი. ამ შემთხვევაში წინა ასოები სთქვან **ჩათვლით**—ფ...ქ..., ხოლო უკანასკნელი „ვ“ შეუერთონ ხმოვან ასოს „ი“-ს, მაშინ გამოვა ფ...ქ...ვი—ლი. ამ სახითვე წაიკითხავენ სიტყვებს: წი—ს...ქ...ვი—ლი. მა—რ...ც...ვ...ლე—ბი და სხვა.

ამრიგათ მასწავლებელი გაივლის ბავშვებთან „დე-და-ენი“-დან (ნაწ. I) ყველა ასოებს და ზედ მოყოლებულ კითხვაში სავარჯიშოებს დაახლოვებით 15 ნოემბრამდე, ხოლო მთელ წიგნს შეასწავლის კარგათ 20 დეკებრამდე. მაშინ კი ბავშვები თავისუფლათ კითხულობენ და სწერენ არა მარტო ცალკე სიტყვებს, არამედ მოკლე წინადადებებსაც; მასთან აქვთ წარმოდგენა საყენებელ (.; :,) და საკილოვნე (?!) ნიშნებზეც. თავისუფლადვე და შეგნებით კითხულობენ პატარ-პატარა მოთხრობებს, ლექსებს, აწერილობას, იციან სურათების წაკითხვა და წერა, თუ ვინ რას აკეთებს ამა თუ იმ სურათზე, რაც აჩვენებს ბავშვებს თავიდანვე აზრის ცოცხლად გამოხატვას.

ამანაირათ პირველი საფუძველი წერა-კითხვის სწავლებისა საკმაოთ მკვიდრი შეიქნება და რამდენადაც ეს პირველი საფეხური სწავლებისა უფრო მაგარ ნიადაგზეა დამყარებული, იმდენათ შემდეგში სწავლება

უფრო გაადვილდება, როგორც მოწათვისათვის, ისე მასწავლებლისთვისაც.

ამსახით, საკმაოდ მომზადებული ბავში, იანვრიდან გადადის ანბანის შემდეგ პირველ საკითხავ წიგნზე, „დედა ენის“ მეორე ნაწილზე და ნაყოფიც ყველასათვის თვალსაჩინო ხდება.



როგორც მკითხველი დაინახავს, წერა-კითხვის სწავლების დროს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს მოძრავი ასოები. ერთის მხრით ეს გარემოება, ხოლო მეორეს მხრით ისა, რომ ასეთი ასოები ხშირათ არ იშოვება და თუ იშოვება სიძვირის გამო ხელმიუწვდომელი რჩება თანამედროვე ღარიბი სკოლებისათვის, ამ წიგნაკის გამომცემელმა ამხანაგობამ ბრაშურასთან ერთათ გამოსცა მოძრავი ასოებიც, რომლის შექმნა მსურველთ შეუძლიათ მცირე ფასებში წიგნის მალაზია „იმერეთი“ ქუთაისში და გამომცემლობა „კოლხიდა“-ს აგენტებთან, სადაც ეს წიგნი იყიდება.



წიგნის მალაზია და უსრნალ-გაგებითვის კანსტორა

# „**იმაკეთი**“

(წინანდელი „კოლხიდა“ ქუთაისში).

ენკენისთვის პირველიდან

გვმჯავის ქუჩაზე, ბულვარის პირდაპირ, ალ. თუმანოვის შენობაში

**ხსნის განყოფილებას და იწყებს ვაჭრობას:**

რუსულ-ქართულ სასაქონლო-მწარმოებელთა კავშირით, სამაშაქრავლო და

**საკანცელარიო ნივთებით, რვეულებით და სხვ.**

მალაზიაში იკიდება თვითგანვითარებისათვის საჭირო

**ქართულ-რუსული ახალი წიგნები,**

რომლებსაც საკომისიოთაც, ღებულობს მალაზია.

აქვე იყიდება:

საამდროვო სამეცნიერო გამოცემანი „კოლხიდა“-სი:

1. ურბნისკვიდი.—**როგორ ცხოვრობდნ ადამიანები**

**ძველათ**—მეორე გამოცემა — ფასი 20 კ.

2. ქართველი ნოე—**ანარქიზმი** . . . . . ფასი 25 კ.

3. რუსადუ ვაჩლ.—**„ცისკარი“** ლექსები მესამე შედ-

სებული გამოცემა . . . . . ფასი 25 კ.

4. შუბლაძე ანდ.—**სახმო წესით** კითხვის სწავლება 15 კ.

5. მუხრანის ასოები **ოთხ-ოთხი ცალი (4 ფურც.)** ფასი 20 კ.

— — — — — **კარდ „წზეგ“** ქართული ღირს 1 მ. 40 კ.

**ბუ**